№ 65

პარასკევი, 4 აპრილი 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 65

პარასკევი, 4 აპრილი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


## ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მივიღეთ ქუთაისის ამხანაგობის მიერ გამოცემული „თხზულებანი მამია გურიელისა (მ. ფაზელისა)“, ავტორის სურათითა და ბიოგრაფიით, რომელიც დაწერილია ბ-ნ იონა მეუნარგიასაგან. წიგნი კარგა მოზრდილია, 500 გვერდს შეიცავს და ჰღირს 1 მან. დაწვრილებით შემდეგ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს ამ გამოცემას.

⁂ ქართული წარმოდგენა, რომელიც უნდა გამართულიყო 4 აპრილს, გადადებულ იქმნა და გამართულ იქმნება აღდგომის შემდეგს კვირებში.

⁂ სახელმწიფო თეატრში იტალიანური საოპერო დასი დღეს ამთავრებს თავისს წარმოდგენებს. დღეს უკანასკნელ წარმოდგენისათვის წარმოსადგენად დანიშნულია ოპერა „ჯოკონდა“.

⁂ გაზეთებში თავისს დროზედ იყო გამოცხადებული, რომ სუხუმში არსდება ახალი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. საზოგადოების დამაარსებელთ, რიცხვით 22 კაცს, წესდება კარგა ხანია წარუდგენიათ ქუთაისის გუბერნატორისათვის დასამტკიცებლად, რომელსაც მთავარმართებლისთვის გამოუგზავნია განსახილველად, ხოლო ამ უკანასკნელს ამ რამდენისამე ხნის წინად გადაუცია წესდება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისთვის, რათა მან გადასინჯოს და შეასწოროს, როგორც იგი უკეთა სცნობს. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს უკვე განუხილავს ხსენებული წესდება და გარდაუცია მთავარმართებლისთვის დასამტკიცებლად. სხვათა შორის, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას უფრო საჭიროდ და სასარგებლოდ დაუნახავს, რომ წევრად ახალ სოხუმის საზოგადოებაში მიღებულ იქმნენ არა მარტო სოფლის მეურნენი, როგორც წესდებაშია მოხსენებული, არამედ ყველა მსურველი.

⁂ ამას წინად მთავარმართებლის კანცელარიას უთხოვნია კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსთვის ცნობები ბრინჯის კულტურის შესახებ კავკასიაში. ეს ცნობები დასჭირებია ფინანსის სამინისტროს. რადგანაც სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ჯერ არ ჰქონია ეს ცნობები შეკრებილი, უცნობებია ხსენებულის კანცელარიისათვის, რომ შემოდგომაზედ წარმოგიდგენთო.

⁂ ჩვენ ვაუწყეთ მკითხველებს, რომ ავლაბრის მოედნიდგან ნავთლუხამდე თვით-მოძრავი ომნიბუსები დაიწყებენ სიარულსაო. უცდიათ კიდეც ასეთი ომნიბუსი, პირველი გაუტარებიათ და მაშინვე გატეხილა კახეთისაკენ მიმავალ გზა-ტკეცილზედ.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუტყობინებია მთავარმართებლისათვის, რომ ს. ს. ვ. ი. კაიდანოვის, ტფილისის სასოფლო - სამეურნეო კრედიტის საზოგადოების მმართველობის თავმჯდომარის პოლკოვნიკის გ. ს. განძიელისა და სხვ. შუამდგომლობა კავკასიის სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ სამინისტრომ არ შეიწყნარაო.

⁂ როგორც ჩვენ გავიგეთ, ამ დღეებში აგრონომი ა. ხ. როლოვი ბათუმისა, ართვინისა და სოხუმის ოლქში მიდის, სადაც ცნობები უნდა შეჰკრიბოს, იქაური მცხოვრებნი როგორ უვლიან და აშენებენ ზეთის ხილის ხეს.

⁂ გაზ. «ნოვ. ობოზ.»-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ 4 აპრილს რკინის გზათა დეპარტამენტს ბათუმიდგან კაპანდიდამდე (ბათუმის ოლქშია) რკინის გზის გაყვანის შესახებ თათბირი ექმნებათო.

⁂ დღეს, 12 საათზედ, ჩვენი ქალაქის სამკურნალოს დაარსების დღეს, ამავე სამკურნალოს დარბაზში, განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე II-ს სულის მოსახსენებლად პანაშვიდი იქმნება გარდახდილი.

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით, კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსს ტფილისში შვიდ-კლასიან საკომერციო სასწავლებლის დაარსების საქმე უკვე განუხილავს და თავის მიერ შემუშავებულს პროექტს ამ მოკლე ხანში მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად.

⁂ მიწად-მოქმედების სამინისტროს იურის-კონსულტის თანაშემწე ბ-ნი ლისენკო, რომელიც როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, კავკასიაში იყო გამოგზავნილი კერძო კაცთა მიერ სახელმწიფო მამულების მითვისებისა გამო და რომელიც ამ დღეებში პეტერბურგს დაბრუნდა, როგორც ამბობენ, ამ აპრილის თვეში ისევ ტფილისს დაბრუნდება და ერთის ხაზინისა და კერძო კაცთა შორის ატეხილ საქმის გარჩევას დაესწრება.

⁂ „ნოვ. ობოზრ.“-ს შეუტყვია, რომ ბაქოს სახაზინო პალატას მთავრობამ ორი ათას მანეთზედ მეტის ფულის გაღების ნება დართო ბაქოს გუბერნიაში და დაღესტნის ოლქში კალიის გასაწყვეტადაო.

⁂ „ტფ. ლის.“-ს გაუგია, რომ მტკვარში თევზების ჭერის ვაჭრობით გაცემა 28 აპრილს დაიწყება ღ მაისის პირველ რიცხვებამდის გასტანსო.

⁂ მთავრობამ განიზრახა,—კავკასიისაკენ მიმავალ გზიდგან თელავამდის ისეთი გზა გააკეთოს, რომელზედაც დატვირთულს ურმებს დაუბრკოლებლივ შეეძლება მიმოსვლა. ეს ახალი გზა გაივლის ქინვალს, თიანეთს, ახმეტას და იქიდგან პირდაპირ თელავში შევა. ამ რიგად კახეთიდგან კავკავში გასაგზავნს საქონელს (ღვინოს) 100 ვერსით შეუმოკლდება გზა, რაიცა, სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, საქონლის პატრონს ფუთზე ერთს აბაზს ხარჯს შეუმცირებს. წარსულს წელს სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო ამ გზისა მხოლოდ 9 ვერსი გაკეთდა; წელს, როგორც «ტფ.ლის.» გვაუწყებს, ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციას აზრად აქვს მუშაობა კვლავ განაგრძოს.

⁂ ხარაგაულის (ქუთ. გუბერ.) სასწავლებლის ზედამხედველს მიუმართავს აგრონომ ნ. პ. ტარატინოვისათვის და უთხოვნია ერთი ფუთი თესლი ამერიკულ ბამბისა და აგრეთვე ბოსტნეულობის მცენარეებისა გამომიგზავნეთ გლეხთა დასარიგებლადაო. ბ. ნ. პ. ტარატინოვს დაუკმაყოფილებია თხოვნა ზემოხსენებული სასწავლებლის ზედამხედველისა.

⁂ სოფ. ალის (გორის მაზრა) მღვდელს ისიდორე მაჭარაშვილს თხოვნა მიურთმევია გუბერნატორისათვის და უთხოვნია ნება მომეცით ალში დავაარსო უფასო წიგნთ-საცავი და სამკითხველოო, ჩემის მზრუნველობითაო.

⁂ კავკავი. 15 მარტს ქართული წირვა-ლოცვა დაეწყოთ ქართველებს მისის ყოვლად უსამღვდელოესის კავკავისა და მოზდოკის ეპისკოპოსის ვლადიმირის ნება-რთვითა და ლოცვა-კურთხევით კავკავის სასაფლაოს ეკკლესიაში. კავკავის ქართველი საზოგადოება ისეთის აღტაცებით მიეგება და დაეწაფა ამ სულიერს წყაროს, როგორც სიცხეში მუშაობით დაქანცული კაცი ცივს წყაროს. ეკკლესიიდგან რომ გამოვლენ ხოლმე და გამოიშლებიან კავკავის ქართველი მანდილოსნები, მტერმა რომ გადაჰხედოს თავისის შურის თვალით, იმასაც-კი შენატრდება... ბევრნი სომხებიც დაიარებიან, რომელთაც სომხური არ იციან.

⁂ ქუთაისი: 18 მარტს აქ თავი მოიკლა 22 წლის ყმაწვილმა აზ. ვლადიმერ ჩიქოვანმა. განსვენებული,

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

დილის რიჟრაჟმა აანთო
აღმოსავლეთი ცისაო,
ყაყაჩოს ფერად შეჰღება
წვერები ჩვენის მთისაო;
აღარ მომსვლია წერილი
შორს მყოფის საყვარლისაო,
აღარც მალხენენ სხივები
ამომავალის მზისაო.

დ. მაჩხანელი

### ეფროს დღიურიდგან

(ვუძღვნი ბ-ნ არაგვისპირელს)

(დასასრული *)

187... 2 იანვარი.

წუხელის საღამოზედ ძლივს ჩავიგდე დრო, რომ გიორგის სანახავად წავსულიყავ. ჩემს გამდელ ნინოს შევატყობინე მისი ავადმყოფობა, რაცკი საჭირო იყო ავადმყოფისათვის, თან წავიღეთ და შევუდექით სოლოლაკის აღმართს, სადაც გიორგი ერთ განმარტოებულს პატარა სახლში იდგა. გული საშინლად მიცემდა, სიბრალული და სინანული მტანჯავდა და კი არ ვიცოდი რა მექნა, რა მეთქვა უბედურისათვის. „რითი ვანუგეშო, სად მოვუძებნო წამალი, როგორ გავკურნო ჩემი საყვარელი მეგობარი, ძმა, მეგობრის ხელით ყელ-გამოჭრილი? რა ვქნა, რა ვქნა“, ვეკითხებოდი ჩემს თავს, როდესაც მის მაღალ ვიწრო კიბეზედ ავდიოდი.

ოთახიდგან სკრიპკის ხმა გამოდიოდა, ამან გამამხნევა და კარი გაბედვით შევაღე. ოთახი ოდნავ იყო განათებული მწვანე ქაღალდ ჩამოფარებულის ლამპით. გიორგი კარის პირდაპირ კედელს მიჰყრდნობოდა, ხელში სკრიპკა ეჭირა და თვალებ-დახუჭული, რაღაც უცნაურს, სევდით სავსე, მელოდიას უკრავდა. მისი პირი-სახე მწვანე შუქზედ მომაკვდავს ემსგავსებოდა და გამხდარი, ჩონჩხის მაგვარი ხელი ოდნავ, ძლივ-ძლივობით-ღა უსვამდა ქამანჩას სკრიპკას.

თვალი არ გაახილა, მგონი, არცკი შენიშნა კარის გაღება და მით უმეტესად ჩემი შესვლა; ჩუმად ჩამოვჯექ კარებთანვე სკამზედ და სმენად გადავიქეცი. საშინელი მკვნესავი, დაუსრულებელის მწუხარებით სავსე იყო მომაკვდავის კაცის ხელით გამოწვეული ჰანგები. თვალები ცრემლებით ამევსო, მწუხარებამ გული გამითანგა... თვალებზედ ხელი მივიფარე და მწარედ ავტირდი: „მე, მე ვარ ამ ტანჯვის, ვაების მიზეზი? მე? ღმერთო ჩემო, ღმერთო მაპატიე! მაპატიე ეს უნებური დანაშაული...“

მუსიკამ თანდათან უკლო ხმას, ჩურჩულამდის მიაღწია და ბოლოს სრულიად შესწყდა. გიორგიმ თვალები გაახილა, მეც იმისაკენ მივიხედე და ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. არ გაუკვირდა ჩემი დანახვა, მხოლოდ პირზედ ოდნავმა ნათელმა გადუარბინა და ნელა, აუჩქარებლივ წამოვიდა ჩემსკენ.

— ეფრო, მოხვედი?!. გელოდი, ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. რომ არ მოსულიყავ, მაშინ ხომ ჩემი კეთილი ანგელოზი ეფრო აღარ იქნებოდი! სტირი, გებრალები?.. შენს თვალებზედ ცრემლებს ვხედავ... ძვირფასს ცრემლებს... ნება მომეც იმათი გემო ვნახო, ერთხელ კიდევ მოვიწამლო მათის ძლიერებით და ამ სიტყვებთან ერთად წყნარად, მოწიწებით მიმიზიდა და თვალებზედ მაკოცა. მერე თავზედ ხელი გადამისვა, მოწიწებითვე ასწია ჩემი ნაწნავი და როგორც წმიდა ნაწილს, ისე ემთხვია; მერე გულზე მიიყრდნო ჩემი თავი, ორივე ხელები თავზედ დამაწყო და ოდნავ ჩამჩურჩულებდა ყურში: „ჩემო ღმერთავ, ჩემო სასოებავ, ჩემო სინათლევ! ეფრო, ძვირფასო ეფრო, ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მაკოცე, ერთხელ, ტუჩებში... ტუჩებში, ისე, როგორც შენს სატრფოს, საყვარელს...“ და ჩემს თავზედ დაწყობილი ხელები აუთრთოლდა. სწრაფად წამოვხტი, ჩემი წამიერი გულ-ჩვილობა შევინანე, შევკრთი და საყვედურით შევყვირე:

— შენგან მაგის იმედი არა მქონდა, გავიწყდება, რომ მე სხვა მიყვარს... მე მეგონა ავად იყავ, მინდოდა მომევლო, მეპატრონა... ნინოც მოვიყვანე, თუ საჭიროა რამე შენთვის, გვიბძანე...

— დური თანაგრძნობა!.. მესმის, მესმის... გმადლობ მოწყალებისათვის... ვიცი, რომ მოწყალე ხარ... გებრალები... გლახისთვის ლუკმა გემეტება... მერე ისევ მომიახლოვდა და კვლავ წაიჩურჩულა: რომ იცოდე, ჩემო კეთილო ეფრო, ჩემო კარგო, ჩემო მფარველო ანგელოზო, რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები, როგორ ვძრწი, როგორ ვშფოთავ! რად მიღალატა ხვედრმა, რად მიმუხთლა, რად წამართვა ის, რაც დავიმსახურე, რაც ჩემი უფლება იყო, რასაც შევწირე უკანასკნელი სისხლის წვეთი, ჩემის გულის ყოველი მოძრაობა, ურომლისოდაც სიცოცხლე შეუძლებელია! რადა, რადა? სად არის სამართალი? სად არის ჭეშმარიტება? ამას ვეკითხები ჩემს თავს, ჩემს გონებას და პასუხის მაგივრად გულის უსაზღვრო ღმუილი-ღა მესმის... ტვინი მერყევა, დავლაჩრდი... აი, ვტირი... შემიბრალე! მხოლოდ შემიბრალე! შენის გულის რჩეული არა ვარ? ვიცი, ნუ მომაგონებ მაგას! რომ იცოდე რა სიამოვნებით დავხუჭავდი თვალებს სამუდამოდ, როგორ მოვატყუებდი ჩემს რწმენას, ჩემს სინიდისს, რომ ერთხელ მაინც მღირსებოდა შენი ალერსი, შენი სიახლოვე, შენი სულთქმა რომ შეერთებოდა ჩემს სულთქმას... ეფრო, შემიბრალეო... და ის უღონოდ დაეშვა ჩემ წინ მუხლებზედ, ხელი შემომხვია კალთებზედ, თავი ჩაჰკიდა და გულ-შემოყრილი დაეცა იატაკზედ.

— ნინო, მიშველე! დავიკივლე. წამზედ მომეშველა ჩემი გამდელი,

*) იხ. „ივერია“ № 64.

პირველად ნოქარი იყო. 1895 წელში იგი გაიყვანეს ჯარის-კაცად. ნიჭიერი კაცი იყო, თუმცა სოფლის ერთი კლასი ჰქონდა გათავებული. ძლიერ უყვარდა ქართული ლიტერატურა და თავისუფალ დროს სულ ქართულ წიგნების კითხვას ანდომებდა. საწყალს თოფი ეკრა თავისთვის მარჯვენა გვერდში, ტყვიას ორი ნეკნი გაუმტვრევია და მარცხენა ფილტვი გაუტანია. საბრალომ ამის შემდეგ მხოლოდ სამი საათი-ღა იცოცხლა. მიზეზი თავის მოკვლისა არავინ უწყის.

⁂ დ. ხიდისთავი: ჩვენის დაბისა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებმა კარგა ხანია თამბაქოს მოყვანას მიჰყვეს ხელი, რადგან კაი შემოსავალს იძლეოდა; მაგრამ აქაურმა მოვაჭრეებმა ისეთი ეშმაკურის ხრიკების ქსელი გააბეს, რომ სულ მუქთად მიაქვთ თამბაქო უპატრონობისა გამო და ლამის ხელი აგვაღებინონ ამ ეთად-ერთ შემოსავლის წყაროზედ. ამას გარდა, უნდა შეგატყობინოთ, რომ აქაურ მოვაჭრეების ბიჭებისაგან მოსვენება არა გვაქვს, მეტადრე მგზავრებს, რომლებსაც უსათუოდ რამე კილი უნდა გამოუღონ და მასხარად აიგდონ.

⁂ უკვე გამოვიდა ჟურნალ „მოამბე“-სმესამე, მარტის წიგნი. აი შინაარსი ამ წიგნისა: „მოლიპულ გზაზე.“—მოთხრობა ან. ერისთავისა (გაგრძელება),—„ერთი ამლილობის ამბავი“.—ბიორნსტერნე ბიორნსონისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა,—გურული „ქალ-ვაჟიანი“.—გაგონილი და ჩაწერილი თ. სახოკიას მიერ,—„რამას განდევნა“—ვოლმიდგან „რამაიანი“, თარგმანი გერმანულიდან ალ. ს—შვილისა (დასასრული),—გლეხი-კაცის ისტორია“—ნაწილი პირველი,—ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა,—თუშური ლექსები.—შეკრ. დ. როსტომაშვილის-მერ,—„ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები.—XXXII—XXXIII—XXXIV.—ალ. ს—შვილისა,—„ცხოვრება და მწერლობა.—ფხასი (დასასრული),—„ძირითადი კანონები სალიტერატურო კრიტიკისა“.—ადოლფ გაცფელდტისა, თარგ. ინ—ანისა (დასასრული),—„ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკი და მისი მოქმედება.“—გ. მაიაშვილისა (დასასრული).

ქრონიკა:

„პროვინციის ცხოვრება“.—გურია,—სამღვდელოების კრება ქ. ოზურგეთში.—თ. სახოკიასი.—ჩვენსა და სხვაგან.—თ. ნიკოლოზ ზურაბის-მე ჭავჭავაძე.—კოოპერაცია. რამ დაღუპა უწინდელი კოოპერაციები ჩვენში. გაჭირვება და როჩდელელი ფეიქრების მაგალითი. ჩარჩები და კეთილსინიდისიერი შუამავალი.—აფრიკელი ქართველები. დ-რი ელისეევი. დ-რი მოსტოვიჩი. ბ. განი. პროფესორი სეისი. ბ. მსერიანცი.—საბერძნეთი და ევროპა. გერმანია. ავსტრია. ინგლისი. საფრანგეთი. მუშაკნი ბერძნების ეროვნული თვით შეგნებისა.—„შინაური მიმოხილვა“-—ჩვენის არჩევნების დრო დადგა.—ტფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკის პირველი ანგარიში.—თავად-აზნაურობის კრებები და ჩვენი მარშლები.—ტფილისის ქალაქის გამგეობა და სომხობა.

დამატება:

„საქართველოს სიძველენი“.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ლამისყანა. (ქსნის ხეობა) ჯონჯოლობაც მოგვიახლოვდა ლამისყანელებს. ლამისყანის ჯონჯოლს პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს სატახტო და სამაზრო ქალაქებში. ძალიან ბლომადაც მოდის. წელიწადში, სულ უკანასკნელი, შვიდას-რვაას ფუთამდის ისყიდება. ფუთი ჯონჯოლი აქა ჰფასობს ორს მანეთად, ხან-და-ხან თორმეტ აბაზადაც. ამ მცენარის მყიდველები, როგორც ყველა სხვა ნაწარმოებისა, არიან ტფილელი ბაყლები.

რასაკვირველია, არ შეიძლება, სადაც კი ჩვენი ვაჭარი მივა, რომ რომელსამე ნაწილს საზოგადოებისას დიდი ზიანი არ მისცეს. აქაც ასე გახლავთ. მოვლენ ბაყლები სწორედ იმ დროს, როცა ჯონჯოლის დაკრეფის დროა. იმათი ბინა თავადები არიან. თავადები, როგორც იქნება, მოურიგდებიან ან ორ მანეთად, ან ცხრა აბაზად, ან კიდევ უფრო მეტად. რჩებიან აქ ნაპირას გლეხები. სწორედ ამ გლეხებს დააწვებიან ხოლმე ჩარჩები და სცდილობენ, როგორმე ნაკლებ ფასში გამოიტანონ ჯონჯოლი. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ყოველთვის ბაყლები რჩებიან გამარჯვებულნი. ან-კი სად გაგიგონიათ, რომ ჩვენს საწყალს ხალხს და მერე ბევრის მხრით დაცემულს გლეხს, გამოეჩინოს რამიმე უნარი და წინაღდგომოდეს ჩარჩებს.

სწორედ ამისთანა შემთხვევა გახლდათ შარშან ჯონჯოლობას. ბაყლებმა თავადების ჯონჯოლი კარგ ფასად იყიდეს და გლეხებისას-კი 2, 3 და 4 აბაზშიაც-კი არ იღებდნენ. რა ჰქნას საცოდავმა გლეხმა? მომზადება იმას არა აქვს, ფული იმას არა აქვს და კიდევ სხვა იარაღი, რომ თითონ მოუაროს თავისს საქონელს და უპატრონოს. ამის გამოისობით შარშან ბევრმა გლეხმა გადაჰყარა კიდეც თავისი წილი ჯონჯოლი.

ჩარჩებმა ეს გლეხები არ იგმარეს; თავადებისაგანაც წააპოტინეს თავიანთი თანთქავი ხელები: წელს ხმა გავარდა, რომ ტფილელს მეჯონჯლეებს პირობა შეუკრავთ, რომ „ვინც ლამისყანაში წავიდეს, მანეთზედ მეტი არავინ მისცეს ფუთში, თორემ სამოც თუმანს ჯარიმას გადავახდევინებთო“. ეს რომ თავადებმა გაიგეს (ბევრნი-კი არ არიან, სულ ორი კომლია: თ. დ. ი. ერისთავი და თ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი. ეს უკანასკნელი აქ არა სცხოვრობს. ამისი წარმომადგენელი გახლავთ თ. ი. ლეონიძე), დაიკაცურდნენ და დაადგინეს, რომ თავს ნუ შავირცხვენთ და ჩარჩების ხელში სავორებლად ნუ გავხდებით, ჩვენს საქონელს ჩვენ თითონ მოუაროთ, ჩავდოთ და გავყიდოთო. ღმერთმა ყველა მწარმოებელთ ჩააგონოს ამისთანა კარგი და გამაცოცხლებელი აზრები ჩვენის ცხოვრებისა, მაგრამ რომ ამათს სიკეთეს მადლი ჰქონდეს და მარილიც ზედ მოეყაროს, უნდა ბოლომდის მიიყვანონ ეს კეთილი საქმე, ე. ი. უნდა გლეხებიც გამოიხსნან იმათ კლანჭებიდგან და არ დასტოვონ იმათ გაუმაძღარ ხელში. თავადებმა უნდა შეისყიდონ გლეხებისაგან ჯეროვან ფასად და ერთად გაასვეთონ ეს საქმე. ამას არც დიდი ფული უნდა და არც დიდი შრომა, ხოლო რაც უნდა იმისათვის თავადებს შეძლება მოეპოვებათ.

გ. ს.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

როგორც ვუწყით, დიდხანია შუამდგომლობს ქალაქი ქუთაისი, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის უმთავრესი ლიანდაგი ზედ ქუთაისზედ მიდიოდეს და არ იყოს იგი შეერთებული ამ ლიანდაგთან ცალკე შტოთი, როგორც ამ ჟამად არის. ეს შუამდგომლობა დაიწყო ჯერ კიდევ 1865 წელს, მაგრამ არ იქმნა შეწყნარებული. წარსულ 1896 წლის დასაწყისს იმის შესახებ შუამდგომლობა კვლავ აღძრა ქუთაისის ქალაქის მოურავმა, რომელმაც ბ-ნ გზათა უწყების მინისტრის ამხანაგს მიართვა თხოვნა, რომ ქ. ქუთაისი ეხლა მივარდნილია და როდესაც უმთავრესი ლიანდაგი ამ ქალაქს გვერდს არ აუხვევს, იგი გამოცოცხლდებაო. ამ შუამდგომლობას ის მოჰყვა შედეგად, რომ განკარგულება იქმნა გაცემული, რომ გასინჯულ იქმნას ადგილ-მდებარეობა, შესაძლებელია თუ არა რკინის გზის გაყვანა ახალ-სენაკის რკინის გზის სადგურიდგან პირდაპირ ქუთაისზედ ყვირილის სადგურამდე, და დაიწყეს კიდეც გზის სინჯვა-თვალიერება. აი ეხლა გაზ. „კავკასი“ რასა სწერს ამ საგნის შესახებ:

„გამოკვლევა გზისა ამ ჟამად უკვე დამთავრებულია და ორი პროექტია წარდგენილი: ერთის პროექტით დიდი გვირაბი უნდა იქმნას გაყვანილი, მეორე პროექტით გზამ გვირაბს უნდა აუხვიოს. პირველის პროექტით გზას ექმნება 77 ვერსი სიგრძე და დაჯდება 7.380,411 მან., ხოლო მეორეთი—გზას ექმნება 35 ვერსამდე და დაჯდება 2.147,262 მან. მეორე პროექტით ახალი ლიანდაგი აწინდელ რიონიდგან ქუთაისამდე გაყვანილ შტოს გასწვრივ უნდა იქმნას გაყვანილი და მთავარ-ლიანდაგს აჯამეთის ხიდის წინ წითელ წყაროსთან უნდა შეუერთდეს. პროექტებთანვე ნათქვამია, რომ სასარგებლო და ხელ საყრელი არ არის რკინის გზის აწინდელ მიმართულებას შეცვლა და უმთავრესის ლიანდაგის ქუთაისზედ გატარება, რადგან

1-ლი, წახდება გზის გეგმა, ერთის ნაწილის ვაკე ადგილის მაგიერად გზამ უნდა გაიაროს მთიანს ადგილებზედ, სადაც ზვავი და წყალდიდობა ხშირად იცის, ისე, როგორც ყვირილის გვირაბთან არის ხოლმეო; 2-რე, ქუთაისისათვისაცკი სრულიად უსარგებლოდ გაამოკლებს მანძილს ფოთის შტოთი საზიდს ტვირთისათვის 4-დგან ვიდრე 12,46 ვერსამდე, ხოლო ბათუმის შტოთი საზიდ ტვირთისათვის—10,77-დგან 12,46 ვერსამდე, რასაც 80,000 მან. მეტი გზის სამოქმედო ხარჯი მოსდევს, თუნდა ისიც არ ვიანგარიშოთ, რომ მთიანს ადგილას გზისა და სხვა შენობათა მოვლა-პატრონობა უფრო ძვირად დაჯდებაო, და მე-3, სახელმწიფოს ქუთაისზედ უმთავრესის ლიანდაგის გასაყვანად $7^{1}/_{2}$ მილ. მან. დახარჯვა დასჭირდებაო.

ამ გვარადაო, დასძენს დასასრულ „კავკასი“: ამიერ-კავკასიის რკინის გზის მართველობა აღჭურვილა ახალის საბუთებით, რომ უარ-ყოფილ იქმნას მრავალ-წლოვანი შუამდგომლობა ქუთაისისა. მაგრამ ეს საქმე ასე ჩქარა კიდევ ვერ გადაწყდება იმ დრომდე, ვიდრე ცნობაში არ იქმნება მოყვანილი, რა შემოსავალი ექმნება გზას, ქუთაისზედ რომ იქმნას გაყვანილი. ამას გარდა, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ის გარემოებაც, რომ როდესაც განცხოველდება ქუთაისის მრეწველო-

რომელიც შემოსავალ ოთახში მელოდა; გიორგი დიდის გაჭირვებით გადავაწვინეთ ლოგინზედ, პირიდგან სისხლ-არეული დუჟი ამოსდიოდა და მუხლებზედ მოხვევის დროს ჩემი სადღესასწაულო კაბა მთლად სისხლით მოესვარა.

ეს სისხლი მკლავს, თმებს მაღლა მიყენებს... ღმერთო, ნუ თუ კაცის მკვლელი ვარ? ნუ თუ ჩემი ხელი ჩემის ძმის სისხლშია გარეული?.. ვის უთხრა ვის შევჩივლო, ვინ გაიგებს, ვინ დაიჯერებს ჩემს უმანკოებას... ილიკო მაინც ჩამოვიდეს... ამას ყველას ვეტყვი, ის დამიჯერებს ის გამიმაგრებს გულს, ნუგეშს მომცემს.

187... 28 იანვარი.

ილიკო ჩამოვიდა, საშინლად შვენის, სიცოცხლითა და სივაჟ-კაცით სავსეა, ყურებით ვერ გავძღარვარ... ჩემმა პირადმა გრძნობამ, საქორწილოდ სამზადისის ფაცი-ფუცმა თითქმის სულ მიმავიწყა ის უბედური წამი, რომელმაც ჩემი მამიდა-შვილიშვილი გიორგი კინაღამ არ იმსხვერპლა. ან-კი რა მექნა, რა მეშველნა, რითი დამებრუნებინა იმის სულის სიმშვიდე, გულის ბედნიერება! სანუგეშებლად მხოლოდ ის მქონდა, რომ ექიმმა იმისი ავადმყოფობა ძველ, დიდისხნის სნეულებად აღიარა.

გიორგი ხანდახან, ათასში ერთხელ მოვიდოდა ხოლმე ჩვენთან, მიჯდებოდა სადმე კუნჭულში, დაიკრეფდა გულ-ხელს და ისე გაქვავებულსავით ჩუმად, შეუნძრევლად იჯდა მთელის საათობით. იმის საქციელი ყველას აკვირვებდა და ჩემს აწმყო მდგომარეობის—შეყვარებულის სასძლოსას ცოტა არ იყოს ჩრდილს აყენებდა. ილიკოც თითქო შეფიქრიანდა, იმისს ბედნიერებით გაბრწყინვალებულს სახეს ჩრდილმა გადუარბინა. მხოლოდ ამ ორის კვირის განმავლობაში აღარ გაუვლია გიორგის და ცოტა არ იყოს თავისუფლად ამოვისუნთქე, მით უმეტეს, რომ ჩემის ძმისაგან ვიცოდი, რომ სამსახურში დაიარებოდა და, მაშასადამე, ავად არ იყო.

გუშინ წინ, ოც-და-ხუთს ამ თვისას, მე და ილიკომ ჯვარი დავიწერეთ. ჩვენი ქორწინება ერთ პატარა, მივარდნილ ეკკლესიაში მოხდა. ახლო ნათესავებისა და მეგობრების მეტი არავინ მოგვიწვევია. რა ფასი აქვს ლხინს შენს გარეშემო, მაშინ, როდესაც შენ გულში უდიდესი ლხინია გაჩაღებული, იმისთანა ლხინი, რომელიც გავიწყებს ყველას, უდიერ ეგოისტად გქმნის, შენს ადამიანურს დამოკიდებულებასაც-კი... მაშ როგორ მოხდა, რომ გიორგი არ მოვიწვიე ჩემს ქორწილში! ნუ თუ მეშინოდა მისის თავხედობისა? ან იქნება დაღვრემილის პირი-სახით არ მინდოდა ჩემი ბრწყინვალე, უმაღლესი წამი სიცოცხლისა დამეჩრდილა? მღვდელმა უკანასკნელად გადაგვწერა პირჯვარი, ორიოდე ტკბილი სიტყვა გვითხრა ახალ ჯვარ-დაწერილებს, ნათესავებმა გადაგვკოცნეს. ილიკოს ხელი მივეცი; იმან გრძნობით ხელზედ ხელი მომიჭირა და ყურს ჩამჩურჩულა: „ჩემო დედა-კაცო, ჩემო მეუღლევ!!. მე ერთის წამით მის ალგზნებულ თვალებში ჩავიხედე, ცეცხლი წამეკიდა, ავენთე და მორცხვად თავი ძირს დავიღე...

— ეფრო! ნუ თუ ნებას არ მომცემ მოგილოცო და შენ ქორწილში ჩემი, განგებ ამ დღისთვის, შეთხზული სიმფონია დავუკრა?!

ჩემ წინ გიორგი იდგა, ფერ მიხდილი, დასუსტებული, მხრებში მთლად მოხრილი და თრთოდა.

ილიკოს შევხედე, იმან ხელზედ ხელი უფრო მომიჭირა და საჩქაროდ მითხრა:

— ნუ თუ, ეფრო, გიორგი არ დაჰპატიჟე ქორწილშიო!

— მაპატიე, ჩემო კარგო ძმავ, ალერსით ვუთხარ გიორგის, ბედნიერებამ თავს ბრუ დამახვია და ვეღარა გავიგე·რა. იმედი მაქვს, არ გამიწყრები და შენს ძვირფასს შესაწევარს სიმფონიასაც შემომაწევ.

—

ვახშამი გათავებული იყო. ბოლოს ერთი კიდევ დალიეს მეფე-დედოფლის სადღეგრძელო და საშინელი კიჟინა ასტყდა, მოლოცვა, „მრავალ-ჟამიერ“-ი, სკამების მიწევის ბრახაბრუხი ერთმანეთში ირევოდა. უცებ ოთახში სკრიპკის მძლავრი ხმა გაისმა და წამზედ სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა თავისს ალაგას უძრავად დაჯდა და ყურის გდება დაუწყო საოცარს, აქამდის თვალით უჩინარს მემუზიკეს. ის დარბაზის შემოსავალ კარებში იდგა, მისი ახოვანი ტანი, თავით-ფეხამდე შავით მოსილი, რაღაც შიშსა და ამასთან იმისს პატივის-ცემასაც უნერგავდა ადამიანს. გიორგი თვალებ დახუჭული იდგა და იმის სახეზედ უზომო, სიკვდილსავით საშინელი ტანჯვა გამოიხატებოდა.

პირველში დაწყებული ხმა-ძლიერი, მხიარულის სიცილ-ხარხარით სავსე ჰანგი თანდათან დამშვიდდა, დატკბა, ოდნავ მჩქეფავ წყაროსავითღა დუდუნებდა, შემდეგ ხმის მაგიერად სკრიპკიდამ მხოლოდ რაღაც ჩამი-ჩუმი-ღა მოისმოდა და ეს ჩამი-ჩუმი მიაგავდა გაზაფხულის ნიავსაცა და მომაკვდავის უკანასკნელ ამოფშვენასაც. უცებ სიმი გაწყდა, დამკვრელს სკრიპკა ხელიდგან გავარდა, თითონ სისხლის ნაკადული წავარდა პირიდგან და იქვე სკამზედ ჩაჯდა. ერთის წამით თვალები გაახილა, გადმომხედა და ისევ დახუჭა... დახუჭულის თვალებიდგან ორი დიდი ცრემლი გადმოვარდა და ავადმყოფის ტუჩებზედ მოდებულს სისხლს შეერია.

ასეთის ტრაგედიით დაიწყო ჩემი ახალი სიცოცხლე და ჩემი ბედნიერება შეჰლახა. გული სევდითა მაქვს სავსე. ჩემს თვალებს რაღაც ლიბრი გადაეკრა და ბედნიერების გამოურკვეველი ბურუსი შემოარტყა.

ეკ. გაბაშვილისა

ბა და ვაჭრობა, მრავალი სხვა მხრივაც იმატებს სახელმწიფოს შემოსავალიო.

**

ამას წინად ბაქოში გარჩეული იქმნა ფრიად საყურადღებო საჩივარი აღა-ჰუსეინ-ბეგ-ბაკხანოვისა, რომელიც ამბობდა, რომ ხაზინას ნება არა ჰქონდა იჯარით გაეცა 94 დესიატინა მიწა რომანინის აგარაკისა, რადგან იგი მამული ათს წელიწადზედ მეტია ჩემს ხელშია და ამის შესახებ მოწმობაცა მაქვს მომრიგებელ-სასამართლოსიო. ეს მამული რამდენიმე მილიონი მ. ჰღირს თურმე. ბაქოს ოლქის სასამართლომ უარი განუცხადა მომჩივანს და ამ გვარად ხსენებული სადაო ადგილი ხაზინის კუთვნილებად იცნო. სიამოვნებით მიეგებება რა ამ გარდაწყვეტილებას გაზეთ „Новое Время“, დასასრულ დასძენს:

მალიან სასაცილო იქნება, ამას რომ დავუპირდაპიროთ უცნაური ამბავი, რომელიც ტფილისის გაზეთმა „Новое Обозрѣніе“-მ გვაცნობა. ეს ამბავი ის არის, რომ პეტერბურგში განზრახვა აქვთ დააარსონ რუს-სომეხთა საზოგადოება, რომლსაც „აზრადა აქვს დაიფაროს სომეხთა ერიოგნება რუსულ ჟურნალ-გაზეთების მიდგომით ლაპარაკისა დ სჯისაგან დ უფრო უკეთ გააცნოს რუსთა საზოგადოებას სომეხთა ერიო“ და აგრეთვე ამ საზოგადოების განყოფილებანი იქმნება დაარსებული ტფილისსა და სხვა ქალაქებშიო. მართლაც-და, როგორ არა ჰღირს, რომ განსაკუთრებული „საზოგადოება“ იქმნას დაარსებული, რათა ჟურნალ გაზეთები არა ჰბეჭდავდნენ იმისს ამბებს, რომ სახელმწიფო მიწა-მამული აიგლეს, ნავთის წყაროები მიისაკუთრეს და დაიჩემეს და არ აქვეყნებდნენ სხვა იმათ ნამოქმედართა, რაც-კი ამ ბოლოს დრომდე ისე ხელს უწყობდა სომეხთა გამდიდრებას კავკასიაში და განსაკუთრებით-კი ამიერ-კავკასიაში! მაგრამ სააქციო საზოგადოება სომხების მოყვარე მთხზველებისა მხოლოდ თუ მოაღორებს და მოატყუებს ვისმე იმათგანს, ვის მოღორება-მოტყუებაც განუზრახავს...

## სასამართლოს მატიანე

მათხოვრების გაძარცვა სოფ. ახალქალაქში.

1896 წელს, 8 სექტემბერს, მათხოვრებმა ოჰანეზ ასატუროვმა და ოჰანეზ ოჰანეზოვმა გამოუცხადეს ახალქალაქის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს თავ. თარხან-მოურავს, რომ სოფელ ახალქალაქში კარ-და-კარ საგლახაოდ დავდიოდით, დაგვხვდა ერთი ახალგაზდა კაცი, მოგვცა ერთი უზალთუნი და 8 კაპ. ხურდა მოგვთხოვა. ასატუროვმა ჯიბიდგან ფულის ქისა ამოიღო, რომელშიაც 3 მ. 60 კ. იყო. ამ დროს იმ კაცმა ქისა გამოსტაცა ხელიდგან, ასატუროვს ხელზედ უკბინა, მერე გაიქცა და ფული თან წაიღო, ქუდი-კი იქვე დარჩაო. მამასახლისის თანაშემწემ გამოიძია ეს საქმე და მოწმებისაგან, სომხიევისა და მურელოვისაგან შეიტყო, რომ მათხოვრებისათვის ფული წაერთმია ცნობილს ჯიბგირს გიგო ნაზარბეგოვს; ნაზარბეგოვი შეიპყრეს და სამართალში მისცეს. ეს საქმე გაარჩია ტფილისის ოლქის სასამართლომ ქალაქ გორში წარსულს მარტს. ბრალდებული გამოტყდა, დამნაშავე ვარო, და სასამართლომ გიგო ნაზარბეგოვს წელიწადნახევრით ციხეში დაპატიმრება გარდაუწყვიტა.

## წერილი კიევიდგან

27 მარტს, დილის 7 საათზედ, უნივერსიტეტის საავადმყოფოდგან განსვენებულის სტუდენტის დავით წერეთლის ცხედარი გამოვასვენეთ მისისავე სამშობლოში (შორაპნის მაზრის, სოფელ ცხრუკვეთში) წასასვენებლად. გვირგვინებით მორთულ კუბოს კიევში მოსწავლე ქართველები გარს ეხვივნენ და მათთან ერთად მრავალი რუსის ახალგაზდობაც. რკინის გზის სადგურამდის კუბო მხარზედ გადებული მიჰქონდათ ამხანაგებს; ამხანაგებისავე გუნდი გულდამწვავი გალობით კუბოს წინ მიუძღოდა. ამ გვარად ცხედარი რკინის გზის სადგურამდის მივასვენეთ. იქ კუბო დავასვენეთ და მღვდელმა პანაშვიდი გადაიხადა. ამის შემდეგ ბ-ნ კრიჟანოვსკის (განსვენებულის კარგი მეგობრის) წერილი იქმნა წაკითხული, რადგან სამსახურის გამო თითონ ვერ შეიძლო,—გამოსვენებას დასწრებოდა. ბ-ნ კრიჟანოვსკის მოკლე წერილში დიდის ხელოვნებით იყო აღწერილი განსვენებულ დავითის ღირსებანი; განსაკუთრებით მისი მგრძნობიარე ხასიათი, რომლის წყალობითაც იგი ყველას ადვილად იზიდავდა. კრიჟანოვსკის წერილის წაკითხვის შემდეგ განსვენებულის ერთ ამხანაგთაგანმა ბ-ნ მალაქია ბოლქვაძემ გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა*). ამის შემდეგ ამხანაგები ცხედარს გამოეთხოვენ და გულდაწყვეტილები უკან დაბრუნდნენ.

კიეველი მოსწავლე

# რუსეთი

—

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს შეადგინოს კომისია, რომელსაც უნდა დაავალოს, აღმოაჩინონ ღონისძიებანი ქალთა შორის სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის.

— გაზეთი „Мір. Отг.“ სწერს: „იმედი გვაქვს, რომ 19 თებერვალი სახსოვარ დღეთ შეიქმნება გლეხის განთავისუფლებისა უმეცრებისაგან, როგორც ამ ჟამად სახსოვარია ვითარცა დღე ბატონ-ყმობის განთავისუფლებისა. ძლიერ კარგი იქმნება, რომ ეს 1898 წელს მოხდეს. ამისი მიზეზი სულ უბრალოა. ხომ საჭიროა, მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში სასიკეთო და სასარგებლო რამ იყოს ჩაწერილი, ‍დ აი,საკმარისია ამ ხარჯთ-აღრიცხვაში ჩაიწეროს: სავალდებულო სწავლა-განათლებისათვის გადადებულია 30 მილიონი. ჩვენის აზრით, ყველა მინისტრი უნდა სცდილობდეს, რომ ისტორიამ არ დაივიწყოს მისი სახელი და ვინც პირველად ჩასწერს ხარჯთ-აღრიცხვაში ამ 30 მილიონს, იმისს სახელს არასოდეს არ დაივიწყებს რუსეთის მადლიერი ერიო“.

— მოსკოვის საიმპერატორო ლიცეის უნივერსიტეტის განყოფილებისათვის მიუნიჭებიათ უნივერსიტეტის უფლებანი. ამიერიდგან ვინც აქ საისტორიო-საფილოლოგიო და იურიდიულ ფაკულტეტს გაათავებს, ნება მიეცა სახელმწიფო ეგზამენი დაიჭიროს ისევე, როგორც უნივერსიტეტების სტუდენტებს აქვთ.

— მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისაგან მიწვეულმა კომისიამ ფილოქსერის შესახებ სათათბიროდ უნდა გადასწყვიტოს სხვათა შორის ისიც, რომ დაეკისროს მონაწილეობა ფილოქსერასთან საბრძოლველად გადადებულ ხარჯში ადგილობრივ მცხოვრებლებს, თუ არა. ეს საგანი აღძრული იყო ბორტნიკერისაგან შემდგარ კომისიაშიც და იმ დასკვნას დაადგნენ, რომ ყოველი ხარჯი ფილოქსერასთან საბრძოლველად ხაზინამ უნდა იკისროსო, აგრეთვე ხაზინამ უნდა შეუწყოს ხელი ადგილობრივ დაწესებულებათა და იმ კერძო კაცთ, რომლებიც რაიმე ღონისძიებას იხმარებენ ფილოქსერის წინააღმდეგო.

# უცხოეთი

—

## პოლკოვნიკის ვასოსის წერილი დიდ სახელმწიფოთა ადმირალების შესახებ.

18 მარტს პოლკოვნიკ ვასოსს ევროპის დიდ სახელმწიფოთა გემების ადმირალთათვის წერილი გაუგზავნია, რომელშიაც იმათვე მოქმედებას სასტიკადა ჰკიცხავს. წერილში, სხვათაშორის, ნათქვამია, რომ ინგლისის კონსულმა ბილიოტტიმ და ესკადრათა უფროსებმა კანდანოდგან იმ პირობით განგვათავისუფლებინეს ოსმალელნი, რომ იმათთვის იარაღი უნდა აეყარათ და ოსმალეთის რომელსამე ადგილას გაეგზავნათ, ისე რომ იმათ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა აღარ უნდა მიეღოთო. ეს პირობა დარღვეულ იქმნა: 13 მარტს ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლებმა იმათ საომარი იარაღი ისევ დაურიგეს და ნებაც დართეს ქრისტიანები ჟლიტათო. სად არის აქ სიმართლეო?—კითხულობს ვასოსი—სად არის ადმირალთა მიერ კაცთმოყვარეობა და პირობის მტკიცედ დაცვაო?

ადმირალებმა განაცხადესო, განაგრძობს ვასოსი, „რომ ჩვენ ქრისტიანებთან საბრძოლელად კი არ მოვსულვართ, არამედ იმისთვის, რომ არეულობა სისხლ-დაუღვრელად მოვსპოთ და მშვიდობიანობა დავამყაროთო“. კრიტელებმა იმათი სიტყვა დაიჯეროსო. მაგრამ როცა კრიტელები თავისის თავის დასაცველად ოსმალებთ ებრძოდნენ, ევროპის სამხედრო გემებმა პირველთ ელექტრონის მზე მიანათეს, რათა ოსმალეთის გემს უფრო მარჯვედ დაეშინა იმათთვის ყუმბარები, და როცა ამ უკანასკნელმა ამითაც ვერ ისარგებლა, მაშინ თითონ ევროპის ფლოტმა დაუშინა ზარბაზნები ქრისტიანეთ, რომელთა სახსნელად არის ვითომ იგი მოსულიო. დიდმა სახელმწიფოებმა თავისის მფარველობის ქვეშ პირველად ზღვის-პირა სამი ქალაქი მიიღესო, შემდეგ მთელი ზღვის ნაპირების დაჭერა სცნეს საჭიროდ, და ამ ჟამად ხმელეთისაკენაც გამოიწიეს და ზოგიერთი ადგილი იქაც დაიჭირესო. ასეთის საქციელისათვის ისინი თავს იმით ჰმართლულობენ, რომ ვითომ ეშინოდათ, მე კანეა არ დამეჭირა, თუმცა ადმირალებს დაბეჯითებით ვაცნობე, რომ იმ ადგილებს,საცა საერთაშორისო დროშაა გაშლილი, არ შევეხები მეთქი. მე ჯარის კაცი ვარ და არა დიპლომატი და ამისათვის მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. ადმირალებიც რომ ასე იქცეოდნენ, კრიტელებს იმათ წინააღმდეგ სათქმელი არა ექნებოდათ-რა, და ისინი (ადმირალები) იმათთან მოსალაპარაკებლად მისულ მეამბოხეთ რწმუნებას არ დაუწყებდნენ, რომ ვითომ აპოკორონელთ და კიდონელთ თვით მართველობის სურვილი გამოაცხადესო. ოსმალთა სიმაგრეებისთვის სურსათის მიწოდება, დიდ სახელმწიფოთა მიერ ყოველ მუდამ დღე ქრისტიანების თოფ-ზარბაზნების დაშენა და სხ. თავის და თავად ჰმოწმობს, რომ დიდ სახელმწიფოთ მყუდროების ჩამოსაგდებად არ გამოუგზავნიათ კრიტში ჯარიო. ამ გარემოებამ უფრო გაამწვავა კრიტის საქმე, ქრისტიანეთა და მაჰმადიანთ შორის უფრო მეტი სიძულილი დ შურისძიება ჩამოაგდო დ ევროპის დიდ სახელმწიფოთ კრიტელების თვალში ყოველივე ნდობა და პატივი დაუკარგაო. ჩემს თავს მოვალედა ვრაცხ, ასეთს პოლიტიკას და ადმირალთა ასეთს საქციელს წინააღმდეგობა გავუწიოო.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„ლუკმა პურის ამბავი“ მასსესი, თარგმანი ნ. ავალიშვილისა.

ქართულს ენაზედ ყოვლგვარი სამეცნიერო წიგნი მალიან ცოტა მოიპოვება და ამ გვარის ფრიად სამწუხარო მოვლენის მიზეზი ბევრგვარია: ტერმინების უქონლობა, საზოგადოების გულგრილობა, დაუდევრობა და სხვ. ჩვენ საზოგადოებას ქართულს ენაზედ მეცნიერების არსებობის საჭიროება ჯერ არ შეუგნია, თორემ რითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ათს წელიწადში ერთი სამეცნიერო შინაარსის წიგნი თუ გვეღირსება დ იმასაც მკითხველი არა ჰყავს!

თავისს დროზედ მასსეს თხზულება საუკეთესო წიგნი იყო მოზარდის თაობისა და მდაბიო მკითხველისათვის, დღეს-კი ცოტა დამველებულია. ფიზიოლოგია მეცნიერების იმ გვარ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც დღითი დღე იზრდება და გზას იკვლევს; რაც იმისთვის გუშინ საიდუმლოების ბურუსით იყო გარემოცული, დღეს უკვე გამოკვლეულია და ახსნილი. ამის გამო ბევრი აზრი, რომელიც მასსეს თხზულების დაწერის დროს*) ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული, დღეს მეცნიერებაში უვარგოფილია, რაც იმ დროს გამოუკვლეველი იყო, დღეს გამოკვლეულია. ამიტომ „ლუკმა პურის ამბავი“-ს ისე გადმოთარგმნას, როგორც მასსეს დაუწერია, ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს: როგორ შეიძლება, მკითხველს მიაწოდოთ იმგვარი სამეცნიერო წიგნი, რომელშიაც შეცდომებია?! ბ-ნ ავალიშვილს რომ ეს შეცდომები გაესწორებინა, მაშინ მისი შრომა გაცილებით უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო იქნებოდა.

თარგმანის მე-6 გვ. ვკითხულობთ: „მონელებული საჭმელი... გაუჯდება ტანის ყველა ნაწილებს და გადაიქცევა ხოლმე ჯერ სისხლად, მას შემდეგ ხორცად, ძვლებად და სხვ.“ 40 გვ: „საჭმელი ალისფერ სისხლად გარდაიქცევა.“ 73 გვ: რძე-წვენა (chilus) სისხლად გარდაიქცევა... რძე-წვენა არის ახლად შობილი სისხლი“. 74 გვ: „ეს ახლად შობილი რძის მსგავსი სისხლი დაიწყებს თუ არა სიარულს სისხლის მილებში, თავის თავად გადაიქცევა ნამდვილ სისხლად. ეს კი არ ვიცით ჩვენ, თუ როგორ ხდება ეს. მაშინ ფერიც ეცვლება იმას: ეკარგება სითეთრე და ალისფერი ხდება და თუ იმის ჭკარიც მოხვდა, მაშინ ჭიაფერი გახდება.“ ამ ამონაწერების აზრი ის არის, რომ ნაწლევებიდგან შესული საჭმელი გადავა თუ არა სასისხლე მილებში, მეისვე სისხლად იქცევა. ეს დიდი შეცდომაა; საჭმლის პირდაპირი დანიშნულება სრულიადაც ის არ არის, რომ სისხლად იქცეს: ნაწლავებსა და კუჭში საჭმელი გაითქვიფება, გათხელდება, შემდეგ ნაწლევების კედლებიდგან გადავა წვრილ სალიმფო და სასისხლე მილებში, აქედამ-კი სისხლს შეუერთდება; სისხლი კიდევ წაიღებს და დაურიგებს ტანის ყველა ნაწილს. რძე-წვენა რომ სისხლის შეხებით სისხლად იქცეოდეს, მაშინ რაღა საჭიროა ტვირთი, ძვლების ტვინი, სალიმფო ჯირკვლები და სხვ., რომლებიც, ახლანდელის მეცნიერების აზრით, სისხლის უმთავრესს ნაწილს—სორსლებს ამზადებენ?!

„რძის მსგავსი სისხლი დაიწყებს თუ არა სიარულს სისხლის მილებში, თავის თავად გადაიქცევა ნამდვილ სისხლად... ეკარგება სითეთრე და ალისფერი ხდებაო“, ეს იმას ემსგავსება, წითელ ღვინოში რომ წყალი ჩაურიოს ვინმემ და დამტკიცება დაიწყოს, წყალი ღვინოდ იქცაო; შეხეთ, გაწითლდაო. რძე-წვენას სისხლთან შერევით, უეჭველია,ფერი ეცვლება, რადგანაც სისხლი წითელია,რძეწვენა-კი მოთეთრო,მაგრამ ეს ხომ იმას არ ამტკიცებს, ვითომ რძეწვენა სისხლად იქცეოდეს. 181 გვ. სწერია: „სორსლები დაბოლოვებით კაცის სხეულში განსახოვნდებიან, განა მათი განსახოვნება დაიწყება მცენარეებში, შემდეგ კუჭში და ბოლოს კაცის სისხლის ძარღვებში“. ამგვარი აზრი ახლა მეცნიერებაში აღარ არსებობს; სორსლები მხოლოდ ტანში იბადებიან და არა მცენარეებსა და კუჭში; ტანშივე სრულდებიან; ტვირთის, ძვლების ტვინის, სალიმფო ჯირკვლების...ერთი უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ სორსლები დაამზადონ ხოლმე.

მასსე სალიმფო სისტემას მხოლოდ სანიტარულს მნიშვნელობას აწერს. ეს შემცდარი აზრია; ადამიანის ტანში ორგვარი მილებია: ერთგვარს მილებში მიმოდის სისხლი და ამიტომ ამათ უწოდებენ სასისხლე მილებს; მეორე გვარ მილებს უწოდებენ სალიმფო მილებს—სალიმფო სისტემას, რომლის დანიშნულებაც სამგვარია: ის უბრუნებს სისხლს სისხლიდგან ტანის ქსოვილებში გამოსულ ზედმეტ წვნილს, მოაქვს სისხლში სხვა-და-სხვა ჯირკვლებიდგან სორსლები და უჯრედის ნაწილები, ნაწლევებიდგან იწოვს გათქვეფილ საჭმელს—რძეწვენას**) და მოაქვს სისხლთან. ამგვარად

*) ადგილის უქონლობის გამო ბ-ნ ბოლქვაძის სიტყვას გაზეთში ვერ ვბეჭდავთ.

*) „ლუკმა პურის ამბავი“ ფრანგულად მესამოცე წლებში დაიბეჭდა.

**) ამ უკანასკნელ დანიშნულებას ასრულებს სალიმფო სისტემის ერთი ნაწილი, რომელსაც განსაკუთრებული სახელი ჰქვიან—რძეწვენას მილები.

სადამდის სისტემა სანიტარობასაც ასრულებს, მაგრამ უმთავრესად ის სისხლის თანაშემწეა: მოაქვს მასთან მეტი წვილი, სოკსლები და მასაზრდოებელი სითხე, რომ მან ტანის ნაწილებს დაურიგოს.

76 გვ.: „ფილტვებში რომ შედის სისხლი, მაშინ იმას ჰაერი მოხვდება“. 124 გვ.: „ფილტვების ჩვრეტნილები შეიძლება დავადაროთ პატარ-პატარა ოთახებს, რომლებშიაც სისხლი და ჰაერი შედიან, შეხვდებიან ერთმანერთს და გაუწყვეტლივ მერე ისევ სცილდებიან ერთმანეთს“. ამ ადაგების აზრი მართალი არ არის, რადგანაც ფილტვებში ჰაერი და სისხლი ერთმანერთს ვერც შეხვდებიან და ვერც მოხვდებიან; ფილტვები შესდგება პატარ-პატარა ჩვრეტილებისაგან, რომლებიც თხილის ნასვერ ნაჭუჭს წააგავან. ამ ჩვრეტილებს მალიან თხელი კედლები აქვს. შესუნთქვის დროს ჩვრეტნილებში ჰაერი შედის, მაგრამ სისხლი-კი არა: სისხლი მიმდინარეობს წვრილ და უთვალავ მილებში, რომლებიც ჩვრეტნილების კედლებშია დატანებული. ამგვარად ჰაერსა და სისხლშუა ჩვრეტნილების თხელი კედლები რჩება. ამ კედლებში ვერც ჰაერი გაატანს, ვერც სისხლი და ამიტომ ვერც მოხვდებიან ერთმახერთს, მხოლოდ ჰაერიდამ ამ კედლებში გადადის მჟავბადი და უერთდება სისხლს, სისხლიდამ კიდევ ამ კედლებში გამოდის ნახშირმჟავედი და უერთდება ჰაერს. ჰაერი და სისხლი რომ ერთმანერთს მოხვდნენ, მალიან მავნებელი იქნებოდა ცხოველის არსებისათვის; ამიტომ ბუნებამ ისე მოახერხა, რომ სუნთქვის საგანსაც მიაღწია და ცხოველი არსებაც განსაცდელს აცდინა.

146 გვ. სწერია: „ვენოსის სისხლში მჟავბადი გამოლეულია“-ო. ეს შემცდარი აზრია: ვენოსის სისხლში მჟავბადი 6—9%-მდე არის. 156 გვერდის აზრით, შამპანსკის გაზი, ბუხრის ან ღუმელის უდროოდ დახურვის დროს წარმომდგარი გაზი და ვენოსის სისხლის გაზი ერთი და იგივე არის. ეს დიდი სიცრუეა: შამპანსკის ღვინოში და ვენოსის სისხლში არის ნახშირმჟავედი—$CO_2$, ხოლო ღუმელის ადრე დახურვის დროს კი წარმოსდგება ნახშირჟანგა—$CO$.

50 გვ. ვკითხულობთ: „ჭამის დროს სისხლი ყველა სხეულის ნაწილებიდამ სულ კუჭთან მოიკრიბება“-ო. თქვენი მტერი, ეს რომ მართალი იყოს, ადამიანი პირველი იჯრის შემდეგვე ფეხებს გასჭიმავდა. საჭმლის მიღების დროს კუჭს ჩვეულებრივზედ მეტი სისხლი ეტანება, მაგრამ ეს ხომ იმას არა ჰნიშნავს, ვითომ ყველა სხეულის ნაწილიდგან სისხლი სულ კუჭთან იკრიბებოდეს.

აგრეთვე 53 გვ.: „ამასთან ამტკიცებენ ზოგნი, რომ თუმცა კუჭი მჭლეც არის, მაგრამ საჭმლის მონელების დროს იმის კანის შიგნითი პირი იხსნება და ამით თავისგან გაკეთებულ საჭმლის ფაფას აყვეთესებს“. ამისთანა შემცდარ და უსაბუთო აზრს ეხლა აღარავინ აღარ ამტკიცებს.

132 გვ. სწერია: „თუ მჟავდედა არის უკვე რომელიმე საგანში, მაშინ იმას ცეცხლი ახლათ აღარ მოეკიდება“. ესეც ტყუილია: ყოველგვარ ქონში, სპირტში მჟავბადი აუცილებელს ნაწილს შეადგენს, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ქონსაცა და სპირტსაც ცეცხლი მშვენივრად ეკიდება. მასსეს ფიბრინი, კაზეინი და ალბუმინი ერთ და იმავე ნივთიერებად მიაჩნია; შეიძლება, ეს სამი ნივთიერება მართლაც ერთი და იგივე იყოს, მაგრამ ეს ჯერ არავის დაუმტკიცებია და მეცნიერების საზღვრებში არაფერს დაუმტკიცებელს ადაგი არა აქვს. მასსეს აზრით, რამდენიც მასაზრდოებელ ნივთიერებაში ბევრი აზოტია, იმდენი უფრო ნოყიერი იქნება ის ნივთიერება, ეხლანდელი მეცნიერება-კი ადამიანის საზრდოობის შესახებ აი რას ამბობს: საუკეთესო საჭმელი ის არის, რომელშიაც ერთ წილ აზოტიან ნივთიერებასთან $2^1/_2$-3 უაზოტო ნივთიერება მოდისო, ე. ი. საუკეთესო საჭმელი ის არის, რომელშიაც აზოტიანი ნივთიერება ცოტაა, უაზოტო-კი ბევრი.

(დასასრული იქნება)

## დამავიწყდა

(შტეტენჰეიმი)

ღედის ცრემლიანი თვალი ოკეანესა ჰგავს, სადაც სხვა არა სჩანს რა, გარდა ცისა და წყლისა.

***

ღმერთმა შეჰქმნა ქვა და შიგ სამოთხე ჩასვა.

***

მე მგონია ლოკოკინა უფრო სწრაფად ივლიდა, რომ საკუთარი სახლი არ ამძიმებდეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

მკურნალების გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მრავალი სხვა გარემოება არის მიზეზი ადამიანის ხანგრძლივის სიცოცხლისა. ჩვენ აქ მოვიხსენიებთ მხოლოდ ზოგიერთ გარემოებას:

1) სქესი. დამტკიცებულია, რომ დედა-კაცი მეტს ხანს სცოცხლობს მამა-კაცზედ. რომელ ქვეყანაშიაც და რა დროსაც-კი ყოფილა მცხოვრებთა აღწერა, ყველგან ქვრივი დედა-კაცი მეტი ყოფილა ქვრივ მამაკაცზედ. ეს განსხვავება ორის სქესისა სიცოცხლის ხანგრძლივობის მხრივ ბავშვებ შორისავე სჩანს. 5 წლიდგან დაწყებული განსხვავება თანდათან ძლიერდება. 16—20 წლის მამა-კაცთა შორის სიკვდილი ერთი სამად უფრო ხშირია, ვიდრე ამავე წლოვანების ქალთა შორის. 40 წლის ქალთა და კაცთა შორის. განსხვავება მოისპობა. 45—55 წლოვანების შორის მამა-კაცი ისევ მეტი იხოცება. მოხუცებულობაში-კი მამაკაცთა შორის ისევ ერთი სამად ხშირია სიკვდილი. აგრედვე თავის მოკვლა ერთი სამად უფრო ხშირია მამა-კაცთა შორის.

2) ხელობა. ხელობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხანგრძლივ სიცოცხლისათვის. ზოგიერთი ხელობა ძლიერ მავნებელია ადამიანისთვის. კალატოზები, მეპურეები, ქარხნის მუშები დიდ ხანს არა სცოცხლობენ. შემდეგი ცნობები მეტად საყურადღებოა:

100 კაციდგან 70 წლამდე სცოცხლობს

| | |
|---|---|
| სასულიერო წოდების კაცი . . . . | 43 |
| 100 მემამულეთაგან . . . . . | 40 |
| 100 ვაჭართაგან , . . . . . | 35 |
| 100 მხედართაგან . . . . . | 32 |
| 100 მოხელეთაგან . . . . . | 32 |
| 100 ვექილთაგან . . . . . . | 29 |
| 100 არტისტთაგან . . . . . | 28 |
| 100 მასწავლებელთაგან. . . . . | 27 |
| 100 ექიმთაგან . . . . . . | 24 |

სიმდიდრე თურმე დიდის ხნის სიცოცხლეს ვერ მიანიჭებს ადამიანს. დამტკიცებულია, რომ საზოგადოდ მდიდარნი ნაკლებად სცოცხლობენ ღარიბებზედ.

3) ჰავა. ცივ ქვეყნებში კაცი უფრო დიდ ხანსა სცოცხლობს, ვიდრე თბილში. აგრედვე სოფლად უფრო ხანგრძლივია ადამიანის სიცოცხლე, ვიდრე ქალაქებში. სხვა გარემოებასაც მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ერთი კაცი კვდება:

| | | |
|---|---|---|
| მთიან ადგილებში . . | 38 | კაცთა შორის |
| მდინარის მახლობლად . | 27 | „ „ |
| ჭაობიანში . . . . | 21 | „ „ |

ზევითა ვსთქვით, რომ ცივ ქვეყნებში ადამიანი უფრო დიდხანსა სცოცხლობსო. მაგრამ ესეც უნდა მოვიხსენიოთ, რომ, როცა ძლიერ აცივდება და დიდხანს გასტანს მომეტებული სიცივე, ადამიანი ვერ აიტანს და სიკვდილი უფრო ხშირდება. განსაკუთრებით უფრო ძნელია გაცივება მოხუცებულთათვის.

ჰავას გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს ხანგრძლივ სიცოცხლისათვის სახლსა. პატარა, ვიწრო, ჰაერსა და სინათლეს მოკლებულ სახლში ადამიანი ნაკლებსა სცოცხლობს. გამოანგარიშებულია, რომ ბერლინში, 1,000 კაცთა შორის, რომლებიც 5 და მეტი კაცი ერთს ოთახში სცხოვრობს 163 კაცი კვდება. იმ 1,000 კაცს შორის-კი, რომლებსაც თითო კაცს 5 და მეტი ოთახი უჭირავს, კვდება სულ 6 კაცი.

4) არაყი და ღვინო. სრულებით საეჭვო აღარ არის ეხლა და აშკარად დამტკიცებულია, რომ მომეტებული სმა არყისა და ღვინისა ადამიანს სიცოცხლეს უმოკლებს. ლოთობისაგანვე წარმოსდგება მრავალი ავადმყოფობა. სასტატისტიკო ცნობებიდგან სჩანს, რომ 20 წლის კაცს, რომელიც ღვინოს არა სვამს, კიდევ 44 წლის სიცოცხლე მოელის, ლოთს-კი—სულ 16 წლის სიცოცხლე. 30 წლის კაცს (თუ ღვინოს არა სვამს)—37, ლოთს—14; 40 წლისას (თუ არა სვამს)—28, ლოთს—12; 50 წლისას (თუ არა სვამს)—21, ლოთს—11; 60 წლისას (თუ არა სვამს)—16 ლოთს—9.

როგორც თვით მკითხველი ჰხედავს, განსხვავება მეტად დიდია.

საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ იმ კაცმა, ვინც ზომიერადა სვამს ღვინოს, ერთი სამად უფრო მეტი უნდა იცოცხლოს, ვიდრე ლოთმა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აპრილი

**ბერლინი.** 2 აპრილს აქ მოვიდა 300 იტალიელი სტუდენტი. მოსულთ რკინის გზის სადგურზედ მიეგებნენ ბერლინის სტუდენტობის დღესასწაულის კომიტეტი, იტალიელთა ახალ-შენის წარმომადგენელნი და დიდ ძალი ხალხი. რკინის გზის სადგურზედ მოვიდა აგრეთვე იტალიის ელჩი გრაფი ლანცა.

**კონსტანტინეპოლი.** საპატრიარქოს მმართველი აღმორჩეულ იქმნა მსოფლიო პატრიარქად.

გაზეთი „ხახიკატი“ ამბობს, რომ 28 მარტს იერიში საბერძნეთის მუდმივმა ჯარმა მოიტანაო.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის სამხედრო და საერო წრეები დიდად უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ შეცვლილ იქმნა ბრძანება, რომელიც ედხემ-ფაშას გაეგზავნა და რომლითაც ებრძანა, ჯარები წინ წაეწია. ეს წრეები იმითი არიან გაბოროტებულნი, რომ ბერძნები გვითხოვენ ბრძოლაში და ჩვენ-კი გაუბედავად ვიქცევითო. როგორც გარეშე საქმეთა მინისტრის ნალაპარაკევიდგანა სჩანს, გუშინ ილდიზკიოსკში მომხდარი მინისტრთა საბჭოს თათბირი არავითარს გარდაწყვეტილებას არ დასდგომია. სხვა წყაროდგან-კი იმ ამბავს იუწყებიან, რომ საბჭომ გადასწყვიტა, ომი გამოვუცხადოთ საბერძნეთსაო. მიზეზი იმისა, რომ ოსმალეთი საბერძნეთის მუდმივს ჯარსა სდებს ბრალსა, თქვენც ერიეთ იერიშშიო, ის არის, რომ საბერძნეთის საერო ტანთსაცმელში მყოფნი თავისის ნებით ბერძენთა ჯარში ჩაწერილნი ოსმალეთის აფიცრებს მუდმივი ჯარის კაცები ჰგონებიათ.

ოსმალეთის პირველი ესკადრა დარდანელიდგან ტრიკალას წავიდა.

მაკედონელნი ბრბონი უკანვე დაბრუნდნენ ბერძენთა მიწა-წყალზედ. მეამბოხენი ამ ჟამად საზღვარზედ იმყოფებიან კუზუფლიანის ახლოს.

**ცეტინიე.** ბერანში მრავლად თავმოყრილმა ალბანელებმა განაძევეს იქაური კაიმაკანი და თვით დაიჩემეს საერო და სამხედრო უფლება. ბერანში ამბოხებაა.

**კაპშტადტი.** ინგლისის სამხედრო ხომალდი „Phoebe“ დღეს გავიდა ზღვაში და თან წაიღო დაბეჭდილნი ბრძანებანი. დღესვე მიდის ზღვაშივე მეორე სამხედრო ხომალდიც.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნს ალექსანდრა ყანჩელისას, რომელმაც კეთილ ინება და გამოგზავნა ოდესელ ქართველ სტუდენტების დასახმარებლად ორასი მანათი.

ოდესელი ქართველი სტუდენტები


ყვავილებისა და ხეხილების გასაშენებელი ბაღი

**ქ. ფ. გლავაჩეკის**

(მდინარე ვერაზე, ხიდის გაღმა, მარჯვნივ) ისყიდება ნამყენი ხეხილები, კვიპაროზისა და მრავალი სხვა მშვენიერი ხეხილი და ბუჩქები.

თესლეულობის მაღაზიაში,

გოლოვინის პროსპექტზედ (სახლი დობრჟანსკისა) ისყიდება ახალი თესლები ყვავილებისა და საბოსტნე; უმრავლესი ნაწილი თესლისა საკუთარი ბაღიდგან არის.

(6—86—6)

XXVIII г. **продолжается подписка на** 1897 г.

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

„НИВА“

выходящій еженѣдельно со многими безплатными приложеніями.

**Гг. подписчики „НИВЫ“ получатъ въ теченіе 1897 года:**

**52 №№** художественно литературнаго журнала «Нива», заключающаго въ себѣ въ теченіе года около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ.

**12 ТОМОВЪ** собранія романовъ, повѣстей и разсказовъ

П. Д. БОБОРЫКИНА,

избранныхъ авторомъ и „Нивою“ изъ числа лучшихъ его произведеній и представляющихъ все наиболѣе выдающееся и цѣнное, что было написано П. Д. Боборыкинымъ въ послѣднія 25 лѣтъ, начиная съ появленія его извѣстнаго романа „Китай-городъ“.

Собраніе романовъ, повѣстей и разсказовъ П. Д. Боборыкина будетъ отпечатано на хорошей глазированной бумагѣ, въ 12 томахъ, которые, подъ заглавіемъ „Сборникъ Нивы“, будутъ выходить въ началѣ каждаго мѣсяца и заключать въ себѣ:

Томъ I. „Китай-городъ“. Романъ въ 5-ти книгахъ. Томъ II. „Безъ мужей“. Повѣсть. „Псарня“. Разсказъ. „Умереть—уснуть“. Разсказъ. „Пристроился“. Повѣсть. „Безвѣстная“. Разсказъ. Томъ III. „По чужимъ людямъ“. Разсказъ. „За красненькую“. Разсказъ. „Послѣдняя депеша“. Разсказъ. „Три афиши“. Разсказъ. „Голубой лифъ“. Разсказъ. „У плиты“. Разсказъ. „Изъ новыхъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Часть I. Томъ IV. „Изъ новыхъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Части II и III. Томъ V. „На ущербѣ“. Романъ въ трехъ частяхъ. Томъ VI. „Обречена“. Повѣсть. „Проѣздомъ“. Повѣсть. «Вторая отъ воды». Разсказъ. „Въ отъѣздъ“. Разсказъ. Томъ VII. „Перевалъ“. Романъ въ 3-хъ част. Части I и II. Томъ VIII. „Перевалъ“. Романъ въ 3-хъ част. Часть III. „Съ убійцей“. Повѣсть. „Горленки“. Разсказъ. Томъ IX. „Ходокъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Томъ X. „Поумнѣлъ“. Повѣсть. „Измѣнникъ“. Повѣсть. „Морзъ и Юзъ“. Разсказъ. Томъ XI. „Ранніе выводки“. Повѣсть. „Трупъ“ Разсказъ. „Василій Теркинъ“. Романъ въ 3-хъ част. Часть I. Томъ XII. „Василій Теркинъ“. Романъ въ 3-хъ част. Части II и III.

**При первомъ томѣ будетъ приложенъ гравированный на стали Ф. А. Брокгаузомъ въ Лейпцигѣ портретъ съ автографомъ П. Д. Боборыкина.**

**12 КНИГЪ** „Ежемѣсячныхъ литературныхъ приложеній“, которыя будутъ выходить при „Нивѣ“ въ серединѣ каждаго мѣсяца и содержать въ себѣ романы, повѣсти, разсказы и проч. современныхъ авторовъ,

**12 №№** „**парижскихъ модъ**“, выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ.

**12 ЛИСТОВЪ** рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300) и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

„**стѣнной календарь**“ на 1897 г., печатанный красками.

**Подписная цѣна** на годовое изданіе „Нивы“ со всѣми вышеозначенными приложеніями: безъ доставки въ СПБ. 5 р. Съ доставкою въ СПБ. 6 р, 50 к. Безъ доставки въ Москвѣ (въ конт. Н. Н. Печковской) 6 р. Съ пересылкою во всѣ города и мѣстности Россіи 7 р. За-границу 10 р.

**Каждый новый подписчикъ получаетъ журналъ съ 1-го № со всѣми приложеніями.**

Требованія просятъ адресовать въ С.-Петербургъ, въ главную контору журнала „Нива“ (А. Ф. Марксу), Малая Морская, д. № 22.

(5—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Апрѣля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.